

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ხარჯების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი მდგომარეობის ანგარიშგება	10

სს „ტერაბანკი“

2019 წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ტერაბანკის“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „ტერაბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტში, სამართლიანად ასახავს „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებით (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და ასევე ეთიკურ მოთხოვნებით, რომელიც შესაბამისია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის საქართველოში და ჩვენ დავაკმაყოფილეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და საერთაშორისო ეთიკის კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „მმართველობით ანგარიშზე“, რომელიც არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორთა დასკვნას. „მმართველობითი ანგარიში“ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჩვენთვის წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“ და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „მმართველობითი ანგარიშის“ წაკითხვას მას შემდეგ, რაც ის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შესაბამისა თუ არა მმართველობითი ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით ხელმძღვანელობის ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.“

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „ჯგუფის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „ჯგუფის“, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს სამართლიანად;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციის და „ჯგუფის“ ფარგლებში ბიზნეს საქმიანობის შესახებ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აზრის გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ „ჯგუფის“ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ ვინარჩუნებთ პასუხისმგებლობას აუდიტორთა დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:


კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
31 მაისი, 2020 წელი


ლარი '000	შენიშვნები	2019	2018*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	56,988	68,917
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		115,597	114,432
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	743,719	667,330
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	6	59,009	56,810
ძირითადი საშუალებები	8	25,159	18,460
გუდვილი	9	20,374	20,374
სხვა არამატერიალური აქტივები		2,820	2,741
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	7	13,208	12,796
საგადასახადო აქტივი		423	-
სხვა აქტივები	10	6,747	4,418
სულ აქტივები		1,044,044	966,278
ვალდებულებები			
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და სალიზინგო ვალდებულება	12	112,632	71,805
დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	15	5,522	225
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	16	703,148	683,266
საგადასახადო ვალდებულება		-	923
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	843	1,723
სხვა ვალდებულებები	17	9,636	14,466
სუბორდინირებული სესხები	13	52,986	46,115
სულ ვალდებულებები		884,767	818,523
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	18	121,372	121,372
გაუნაწილებელი მოგება		37,905	26,383
სულ საკუთარი კაპიტალი		159,277	147,755
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,046,894	966,925

„ჯგუფმა“ თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 მაისს ხელმძღვანელობის საბჭოს მიერ და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:



თეა ლორთქიფანიძე
გენერალური დირექტორი



სოფიო ჯუღელი
ფინანსური დირექტორი

ლარი '000	შენიშვნები	2019	2018
ეფექტური პროცენტის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	19	81,899	77,176
საპროცენტო ხარჯი	19	(38,018)	(35,049)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		43,881	42,127
სავალო ფინანსური აქტივების და სასესხო ვალდებულებების გაუფასურების ზარალი (ნეტო)	8	(2,417)	(5,928)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	20	4,204	4,717
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან		1,421	4,702
წმინდა შემოსულობა ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		3,982	2,707
სხვა შემოსავალი		1,559	1,628
საოპერაციო შემოსავალი		52,630	49,953
პერსონალის ხარჯები		(15,979)	(14,637)
ცვეთა და ამორტიზაცია		(4,808)	(3,141)
სხვა ანარიცხების აღდგენა/(დარიცხვა)		(611)	94
სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(9,272)	(9,081)
მოგება დაბეგრამდე		21,960	23,188
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(1,930)	(3,018)
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		20,030	20,170

„ჯგუფმა“ თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

'000 ლარი	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	121,372	9,048	130,420
კორექტირება ფასს 9-ის თავდაპირველ გამოყენებაზე, გადასახადების გამოკლებით	-	(2,835)	(2,835)
გადაანგარიშებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	121,372	6,213	127,585
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	20,170	20,170
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	121,372	26,383	147,755
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	121,372	26,383	147,755
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	20,030	20,030
გამოცხადებული დივიდენდები	-	(8,508)	(8,508)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	121,372	37,905	159,277

„ჯგუფმა“ თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-68 გვერდებზე.

ლარი '000	შენიშვნები	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		82,740	78,336
გადახდილი პროცენტი		(36,945)	(34,363)
მიღებული საკომისიო თანხები		7,860	8,435
გადახდილი საკომისიო თანხები		(3,638)	(3,641)
უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		1,421	4,702
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,559	1,628
გადახდილი პერსონალის ხარჯები		(15,412)	(14,776)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(8,182)	(9,678)
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,014)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		25,389	30,643
<i>ცვლილებები:</i>			
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		8,430	(34,809)
კლიენტებზე გაცემულ სესხები		(48,872)	(104,191)
სხვა აქტივები და დასაკუთრებული ქონება		(1,235)	1,310
საგადასახადო აქტივები		742	-
დეპოზიტები და ბანკში არსებული ნაშთები		5,031	(16,579)
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან		(20,589)	89,624
სხვა ვალდებულებები		(8,777)	510
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა საოპერაციო ფულადი სახსრები		(39,881)	(33,492)
საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(31,956)	(37,099)
შემოსავალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		28,238	33,381
ძირითადი საშუალებები შეძენა		(2,143)	(1,567)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		743	3
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,521)	(1,248)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(6,639)	(6,530)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდი		(8,508)	-
გადახდილი საიჯარო ვალდებულება		(2,023)	-
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები		50,552	15,837
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების დაფარვა		(19,097)	(10,920)
სუბორდინირებული სესხების დაფარვა		(1,461)	(1,318)
შემოსულობა სუბორდინირებული სესხებიდან		4,917	14,137
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან		24,380	17,736
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		10,211	2,400
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(11,929)	(19,886)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5	68,917	88,803
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	5	56,988	68,917

„ჯგუფმა“ თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-68 გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

„ჯგუფი“ საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „ჯგუფის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „ტერაბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებას. „ბანკი“ დაარსდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება 2007 წლის 30 დეკემბერს იურიდიული სახელწოდებით „სს კორ სტანდარტ ბანკი“. 2016 წლის 23 მაისს „ბანკმა“ შეიცვალა იურიდიული სახელწოდება სს „ტერაბანკად“. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 204546045.

„ბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს დეპოზიტების მიღებას, სამომხმარებლო ანგარიშების მართვას, საკრედიტო ოპერაციებს, გარანტიების გაცემას, ფულადი სახსრებისა და საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ფასიან ქაღალდებსა და უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს. „ბანკის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). „ბანკი“ ფლობს 2008 წლის 25 იანვარს სებ-ის მიერ გაცემულ გენერალურ საბანკო ლიცენზიას.

„ბანკის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ქ. წამბეულის გამზირი №3, თბილისი 0103, საქართველო. „ბანკს“ აქვს 26 ფილიალი, სერვის ცენტრი და სერვის დესქი, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა მთავარ ქალაქში.

„ბანკს“ ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია - შპს „სტანდარტ დაზღვევა“, რომელსაც არ განუხორციელებია ოპერაციები 2019 და 2018 წლებში.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ სააქციო სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

მესაკუთრეები	საკუთრების პროცენტი, %
შეიხი ნაჰაიან მაზარაქ ალ ნაჰაიანი	45%
შეიხი ჰამდან ბინ ზაედ ალ ნაჰაიანი	20%
შეიხი მოჰამად ბუტი ალ ჰამედი	15%
შეიხი მანსურ ბინ სულთან ალ ნაჰაიანი	15%
შპს „ინვესტმენტ ტრედიინგ გრუპ“	5%
	100%

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად არის აღწერილი 26-ე შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ეს არის „ჯგუფის“ პირველი ფინანსური ანგარიშგება, სადაც გამოყენებულ იქნა ფასს 16 იჯარები. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკაში იხილეთ შენიშვნა 3 (ს)-ში.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(გ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (GEL), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს.

ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

(დ) შეფასებების და მსჯელობების გამოყენება

ფასს-ებთან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

მსჯელობები

ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში მოცემულია ინფორმაცია იმ მსჯელობებზე, რომლებიც გაკეთდა ფინანსური აღრიცხვის გამოყენებისას და რასაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ოდენობებზე:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნეს მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც განიხილება აქტივი და რამდენად წარმოადგენს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირითადი და დაუფარავ ძირითადი დარიცხვით პროცენტის გადახედვს (იხ. შენიშვნა 3(ე)(i)).
- კრიტერიუმის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი პირველადი აღიარების შემდგომ, იმ მეთოდოლოგიის დადგენა, რომლითაც ხდება სამომავლო ინფორმაციის გათვალისწინება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში და ამისთვის შესაბამისი მოდელების შერჩევა და დამტკიცება (იხ. შენიშვნა 4).
- გუდვილის გაუფასურება (შენიშვნა 9);

შეფასებების და დაშვებების განუსაზღვრელობა

ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში მოცემულია ინფორმაცია შეფასებების და დაშვებების განუსაზღვრელობაზე, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მნიშვნელოვანი ცვლილების გამოწვევის არსებითი რისკის მატარებელი არიან:

- ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის მონაცემების განსაზღვრა, მათ შორის სამომავლო ინფორმაციის ჩართვა (შენიშვნა 4).
- გუდვილის გაუფასურება (შენიშვნა 9).
- COVID 19-ის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გავლენის შეფასება - შენიშვნა 29.

(ე) ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში და წარდგენა

ფასს 16 იჯარები

ჯგუფმა თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის, რომლის ფარგლებშიც გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი აღრიცხა როგორც საიჯარო ვალდებულება დაკორექტირებული წინსწრებით გადახდილ თანხებზე და ასევე ანარიცხებზე. შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები განმარტებულია ქვემოთ. დამატებით, ფასს 16-ის ახსნა-განმარტების მოთხოვნები ზოგადად არ ყოფილა გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

i. იჯარის განმარტება

ადრე, ჯგუფი ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ფასიკ 4 როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას - ფარგლებში. ჯგუფი ამჟამად აფასებს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით, როგორც განმარტებულია 3 (ს) შენიშვნაში.

ფასს 16-ზე გადასვლისას, ჯგუფმა გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. ჯგუფმა ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ ყოფილა გადაფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მაშასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

ii. როგორც მოიჯარე

როგორც მოიჯარე, ჯგუფი ადრე იჯარებს საოპერაციო იჯარების სახით აკლასიფიცირებდა მისი შეფასების მიხედვით გადასცემდა თუ არა იჯარა ჯგუფს, შესაბამისი აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ფასს 16-ის ფარგლებში, ჯგუფი, იჯარების უმეტესობისთვის აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ანუ აღნიშნული იჯარები არის საბალანსო.

იჯარის კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას ან ცვლილებისას, ჯგუფი ანაწილებს ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე, მათი შესაბამისი, ცალკე აღებული ფასის მიხედვით.

თუმცა, ქონების იჯარებისთვის ჯგუფმა არჩია არ განაცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტები აღრიცხოს, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში

ადრე, ჯგუფი ქონების იჯარებს, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად აკლასიფიცირებდა. გადასვლისას, აღნიშნული იჯარებისთვის, საიჯარო ვალდებულებები შეფასდა ნარჩენი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული ჯგუფის 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული მზარდი სასესხო განაკვეთით. აქტივები გამოყენების უფლებით შეფასდა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდებით. ჯგუფმა გამოიყენა აღნიშნული მიდგომა ყველა სხვა იჯარებზე.

ჯგუფმა გამოიყენა რიგი პრაქტიკული მიზანშეწონილობა ფასს 16-ის იმ იჯარებზე გამოყენებისას რომლებიც ადრე, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად იყო კლასიფიცირებული. კერძოდ, ჯგუფმა:

- არ აღიარა აქტივები გამოყენების უფლებით და ვალდებულებები იჯარებისთვის რომელთათვისაც საიჯარო ვადა მთავრდება თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ აღიარა აქტივები გამოყენების უფლებით და ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის (მაგ. IT აღჭურვილობა);

iii. როგორც მეიჯარე

ჯგუფი იჯარით გასცემს მის საკუთარ ქონებას და აქტივებს გამოყენების უფლებით. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებს საოპერაციო იჯარების სახით აკლასიფიცირებს.

ჯგუფი არ არის ვალდებული განახორციელოს რაიმე კორექტირება ფასს 16-ზე გადასვლისას იჯარებისთვის, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მეიჯარე, ქვეიჯარების გარდა.

iv. ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა

გავლენა გადასვლისას

ფასს 16-ზე გადასვლისას, ჯგუფმა აღიარა დამატებითი აქტივები გამოყენების უფლებით და დამატებითი საიჯარო ვალდებულებები, ხოლო სხვაობა გაუნაწილებელ მოგებაში აღიარა. გავლენა გადასვლისას შეჯამებულია ქვემოთ.

'000 ლარი	1 იანვარი 2019
საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის როგორც განმარტებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, ბასს 17-ის ფარგლებში	11,717
დისკონტირებული 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით	(3,050)
საიჯარო ვალდებულება	8,667
აქტივის გამოყენების უფლება	8,667

ადრე საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ადისკონტირებს საიჯარო გადახდებს მისი, 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით. გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 6,61%.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

გარდა შენიშვნა 2(ე)-ში წარდგენილი ცვლილებებისა, ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება „ჯგუფის“ მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში.

(ა) კონსოლიდირების საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებულ ინვესტირების ობიექტებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს ინვესტირების ობიექტს, თუ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავალი საინვესტიციო ობიექტში მონაწილეობის შედეგად და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ასეთ შემოსავალზე საინვესტიციო ობიექტთან მიმართებაში არსებული უფლებამოსილების გამო. კერძოდ, „ჯგუფი“ ახდენს მის მიერ ფაქტობრივად კონტროლირებული ინვესტირების ობიექტების კონსოლიდირებას, მათ შორის ისეთ ვითარებებში, როდესაც გირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებები საკრედიტო ოპერაციაზე ხდება მნიშვნელოვანი. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შედის ამგვარი კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის თარიღამდე.

(ii) კონსოლიდაციისას აღმოფხვრილი ოპერაციები

„ჯგუფის“ შიდა ნაშთები და ოპერაციები და ნებისმიერი არარეალიზებული შემოსულობები, რომელიც წარმოიშვება „ჯგუფის“ შიდა ოპერაციებიდან, აღმოიფხვრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

(ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ქართულ ლარში ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის კონვერტირდება ლარში ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდების გათვალისწინებით) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, შეფასებული ისტორიული ღირებულების საფუძველზე, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

(გ) პროცენტი***ეფექტური საპროცენტო განაკვეთი***

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ მოხმარების ვადაზე:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე;
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას, გარდა შექმნილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივებისა, „ჯგუფი“ ვარაუდობს სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. შექმნილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებულ ფინანსური აქტივებისთვის, გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა მოიცავს გარიგების ხარჯებს და გადახდილ ან მიღებულ ქულებს რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარიგების ხარჯები მოიცავს ზრდად ხარჯებს რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შექმნას ან გამოშვებას.

ამორტიზირებული ღირებულება და მთლიანი საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების „ამორტიზირებული ღირებულება“ არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული ძირითადი გადასახდელი თანხები, დამატებული ან გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერი სხვაობის თავდაპირველი ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის, და ფინანსური აქტივებისთვის, დაკორექტირებული ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით.

„ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება“ აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით არის ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულება ნებისმიერ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებამდე.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის გამოთვლა

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ანგარიშდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას. საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გადაიხედება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული ფულადი ნაკადების ხელახლა შეფასების საფუძველზე, რაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების ასახვას ისახავს მიზნად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ასევე გადაიხედება ჰეჯირების აღრიცხვისთვის სამართლიანი ღირებულების დასადგენად იმ პერიოდში, როცა ჰეჯირების აღრიცხვის ამორტიზაცია იწყება.

თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა კრედიტით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი არ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იყო გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის გამოთვლის მეთოდი არ უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს, მიუხედავად აქტივის საკრედიტო რისკის აღდგენისა.

ინფორმაციისთვის, როდის არის ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით, იხ. შენიშვნა 3 (ე)(iv).

წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ პროცენტს ფინანსურ აქტივებზე.

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ პროცენტს ფინანსურ ვალდებულებებზე.

(დ) საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში (იხ. შენიშვნა 3 (დ)).

თუ არ არის მოსალოდნელი, რომ შესაძლებელი იქნება სასესხო ვალდებულების ნაწილ-ნაწილ გადახდა, მაშინ დაკავშირებული სასესხო ვალდებულების საკომისიო აღიარებულია წრფივი მეთოდის მიხედვით ვალდებულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს „ჯგუფის“ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15. ამ შემთხვევაში „ჯგუფი“ ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს.

სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე.

(ე) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

i. კლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი შეფასდება: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას და არ აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავალო ინსტრუმენტი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავალო ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელიც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფასდება, ამონაგები ან ზარალი პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში აისახება, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, როდესაც მოგებაში ან ზარალში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მსგავსად აისახება:

- საპროცენტო შემოსავლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დათვლისას;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღდგენების დაანგარიშებისას;
- სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებული შემოსულობის და ზარალის ასახვისას.

როდესაც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

დამატებით, პირველადი აღიარებისას, „ჯგუფს“ შეუძლია შეუქცევადი წესით განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით აღირიცხვის მოთხოვნებს, თუ ეს მნიშვნელოვნად დასწევს ან გააუნულებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რაც სხვა შემთხვევაში წარმოიშვება.

ბიზნეს მოდელის შეფასება

„ჯგუფი“ აფასებს ბიზნეს მოდელის დასახულ ამოცანებს, რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვა, რადგან ეს ასახავს ბიზნესის მართვის და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს. გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკები და ამგვარი პოლიტიკების მოქმედება პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;

- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია „ჯგუფის“ ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- განვილი პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება. ის წარმოადგენს „ჯგუფის“ შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით „ჯგუფის“ მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

სავაჭროდ ხელმისაწვდომი და მართვის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან მათი ფლობის მიზეზი არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა.

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითანხისა და პროცენტის გადახდებს

ამ შეფასების მიზნით, „ძირითანხა“ განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ განისაზღვრება როგორც გასამრჯელო, რაც უკავშირდება ფულის ღირებულებას დროში, კონკრეტული დროის განმავლობაში გადაუხდელი ძირითანხის საკრედიტო რისკს და სხვა ძირითად საკრედიტო რისკებს და ხარჯებს (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟას.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითანხისა და პროცენტის გადახდებს, „ჯგუფი“ გაითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს ასევე გულისხმობს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ვადები ან თანხა, რომ ის აღარ დააკმაყოფილებს მოცემულ პირობას. შეფასების განხორციელებისას, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი ვითარებები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- ლევერიჯის ფუნქციები;
- წინასწარ დაფარვისა და ვადის გახანგრძლივების პირობები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ „ჯგუფის“ უფლებას მოითხოვოს ფულადი ნაკადები კონკრეტული აქტივებიდან - მაგ. აქტივების განთავსების რეგრესი;
- ვითარებები, რომლებიც ცვლიან ფულის ღირებულება დროში გადახდებს - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება.

აქტივის წინასწარ დაფარვის ელემენტი, შეესაბამება ძირითანხისა და ძირითანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის კრიტერიუმებს, თუ წინასწარ დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს დაუფარავი ძირითანხისა და ამ ძირითანხასთან დაკავშირებულ პროცენტს, რომლებიც შესაძლოა ასევე მოიცავდნენ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გონივრულ კომპენსაციას.

რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური ვალდებულებები

„ჯგუფი“ აკლასიფიცირებს მის ფინანსურ ვალდებულებებს, გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ისევე როგორც აღრიცხავს - ამორტიზირებული ღირებულებით.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

ii. აღიარების შეწყვეტა**ფინანსური აქტივები**

„ჯგუფი“- წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც „ჯგუფი“ არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და „ჯგუფი“ არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა (ან აღიარებაშეწყვეტილი აქტივის იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას) და მიღებულ ჯამურ ოდენობას შორის (i) (ნებისმიერი მიღებული ახალ აქტივს გამოკლებული ახალი დაკისრებული ვალდებულების ჩათვლით) და (ii) ნებისმიერი კუმულაციური მოგება ან ზარალი რომელიც აღიარებულ იქნა სხვა სრულ შემოსავალში - აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, უქმდება ან ვადა გასდის.

iii. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კორექტირება**ფინანსური აქტივები**

თუ იცვლება პირობები ფინანსურ აქტივებზე, „ჯგუფი“ აფასებს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმომობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი სხვაობაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმომობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით დამატებული ნებისმიერი შესაბამისი გარიგების ხარჯები. ნებისმიერი საკომისიო მიღებული კორექტირების ფარგლებში აღირიცხება შემდეგნაირად:

- ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენისას გამოყენებული საკომისიოები და შესაბამისი გარიგების ხარჯების ჩათვლიდან მიღებული საკომისიოები ჩათვლილია აქტივის თავდაპირველ აღრიცხვაში; და
- სხვა საკომისიოები ჩათვლილია მოგებაში ან ზარალში როგორც აღიარების შეწყვეტიდან მიღებული მოგება ან ზარალი.

ფულადი ნაკადების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან, არ განიხილება, როგორც ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ გამოწვეულია არსებული სახელშეკრულებო პირობებით, მაგ. „ჯგუფის“ მიერ ინიცირებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შემთხვევაში რაც დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განაკვეთის ცვლილებით, როცა სესხის ხელშეკრულება „ჯგუფს“ ასეთ უფლებამოსილებას ანიჭებს. ბანკი ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. „ჯგუფი“ აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

„ჯგუფი“ მიიჩნევს, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში.

თუ ფულადი ნაკადები იცვლება მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო, მაშინ კორექტირების მიზანი, როგორც წესი, არის საწყისი სახელშეკრულებო პირობების აღდგენა და არა ახალი აქტივის წარმოქმნა არსებითად სხვა პირობებზე. თუ „ჯგუფი“ ფინანსური აქტივის ისეთ კორექტირებას გეგმავს, რაც ფულადი ნაკადების პატიებას გამოიწვევს, მაშინ ის თავდაპირველად აფასებს შესაძლებელია თუ არა აქტივის რაღაც ნაწილის ჩამოწერა მანამ სანამ კორექტირებას ექნება ადგილი (იხილეთ ქვემოთ ჩამოწერის პოლიტიკები). ეს მიდგომა გავლენას ახდენს რაოდენობრივი შეფასების შედეგებზე და ნიშნავს, რომ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები როგორც წესი ასეთ შემთხვევებში არ არის დამაკმაყოფილებელი. „ჯგუფი“ შემდგომ ახორციელებს კორექტირების არსებობითობის ხარისხობრივ შეფასებას.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის კორექტირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ „ჯგუფი“ პირველ რიგში ხელახლა ითვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარებს საბოლოო კორექტირებას როგორც მოგების ან ზარალის ცვლილებას მოგებაში ან ზარალში. ცვლილებების განხორციელების დროს მიმდინარე საბაზრო გარემოებების გათვალისწინების მიზნით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისთვის შეიცვალა თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოგების ან ზარალის ცვლილების დასათვლელად იქნა გამოყენებული. კორექტირებისას გაწეული ან მიღებული ნებისმიერი საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური აქტივის დარჩენილ ვადაზე.

თუ ეს კორექტირება გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო (იხ. შენიშვნა 3(ე)(iv), მაშინ მოგება ან ზარალი წარმოდგენილია გაუფასურების ზარალთან ერთად. სხვა შემთხვევაში ის წარმოდგენილია როგორც ეფექტური პროცენტის მეთოდით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი (იხ. შენიშვნა 3(გ)).

ფიქსირებულგანაკვეთიან სესხებზე, როდესაც მსესხებელს საშუალება ეძლევა მნიშვნელოვანი ჯარიმის გადახდის გარეშე წინასწარ დაფაროს სესხი, „ჯგუფი“ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მიმდინარე საბაზრო განაკვეთს უსადაგებს, ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების მსგავსად. რაც იმას ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სამომავლო პერიოდებში იცვლება.

ფინანსური ვალდებულებები

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილ ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი, შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, სხვაობა განულებულ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს არაფინანსური აქტივების გადაცემას, თუ ასეთს აქვს ადგილი, და ვალდებულებების აღებას, ახალი კორექტირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

„ჯგუფი“ აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. „ჯგუფი“ ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

თუ ფინანსური ვალდებულების კორექტირება არ მიიჩნევა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება გადაანგარიშებულია მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. მცოცავი განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებებისთვის, საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოყენებული ცვლილებიდან მიღებული მოგების ან ზარალის დასათვლელად, კორექტირებულია ცვლილების დროს არსებული მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით. ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

iv. გაუფასურება

იხილეთ ასევე შენიშვნა 4.

„ჯგუფი“ აღრიცხავს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ფინანსური აქტივები რომლებიც წარმოადგენენ სასესხო ინსტრუმენტებს;
- გამოშვებულ სასესხო ვალდებულებებს და გაცემულ ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებს.

„ჯგუფი“ აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღიარდება 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები რომელსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ (იხ. შენიშვნა 4).

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევებისაგან. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მიჩნეულია როგორც „1-ლი დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები რომლებზეც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება, მიჩნეულია როგორც „მე-2 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტები არ არის გაუფასურებული კრედიტით) და „მე-3 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები (თუ ფინანსური ინსტრუმენტები არის კრედიტით გაუფასურებული).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის აღბათობით შეწონილ შეფასებას და ის ფასდება შემდეგი სახით:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს საანგარიშგებო თარიღისთვის: აუნაზღაურებელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება - ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს მიერ მისაღებ ფულად სახსრებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „ჯგუფი“;
- ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს ანგარიშგების თარიღისთვის: სხვაობა მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებასა და მთლიან საბალანსო ღირებულებას შორის;
- გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებები: „ჯგუფის“ მიერ მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა (ვალდებულების მოთხოვნის შემთხვევაში) და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომლის მიღებასაც მოელის „ჯგუფი“.
- ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებები: გარანტიის მფლობელის ანაზღაურებისთვის განსახორციელებელი მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რომლის აღდგენასაც მოელის „ჯგუფი“.

იხილეთ ასევე შენიშვნა 4.

რესტრუქტურულიზებული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება იმისა უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (იხ. შენიშვნა 3(ე)(iii)) და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ანგარიშდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულიზაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში (იხ. შენიშვნა 4).
- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულიზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში ბანკი აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები („მე-3 დონის“ ფინანსური აქტივები) გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულებანი, რომ ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ ჩამოთვლილია ქვემოთ:

- სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- გაკოტრების და/ან იურიდიული პროცესები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს კომპანიას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;
- მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (თუ იურიდიული ერთეულია);
- თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო პირობებშიცვლილი სესხი ითვლება „კრედიტით გაუფასურებულად“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების რისკი მნიშვნელოვნადაა შემცირებული და არ არის გაუფასურების სხვა ნიშნები.

გადაწყვეტილების მიღებისას, როცა უნდა განისაზღვროს არის თუ არა სუვერენული სესხი გაუფასურებული, ბანკი ითვალისწინებს შემდგომ ფაქტორებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით: როგორც გამოქვითვა აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.
- როცა ფინანსური ინსტრუმენტი მოიცავს როგორც გაცემულ სესხებს, ასევე გამოუყენებელ სესხის გაცემის ვალდებულებას და „ჯგუფს“ არ შეუძლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იდენტიფიცირება აღნიშნულ კომპონენტებზე ცალ-ცალკე: „ჯგუფი“ ქმნის საერთო ზარალის რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ეს საერთო ოდენობა აკლდება გაცემული ოდენობის მთლიან საბალანსო ღირებულებას; ნებისმიერი ზარალის რეზერვის ნამეტი გაცემული ოდენობის მთლიან ღირებულებასთან შედარებით წარმოდგენილია ანარიცხის სახით.

ჩამოწერა

სესხები და ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ) როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი ფინანსური აქტივის ნაწილობრივი ან მთლიანი აღდგენისა. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ჯგუფი ვარაუდობს, რომ მსესხებელს არ აქვს შესაბამისი აქტივი ან შემოსავალის წყარო, რითაც იგი უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების გენერირებას იმისთვის, რომ დაფაროს ჩამოწერის საგანი. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური აქტივების დონეზე.

ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა შედის „ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალში“ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას „ჯგუფის“ მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, სებ-ის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების, საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნების და სხვა მაღალ ლიკვიდური ფინანსური აქტივების გამოკლებით, რომელთა დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია და რომლებიც ექვემდებარებიან მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს და „ჯგუფი“ მათ იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების მართვის პროცესში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი წარმოადგენს უპროცენტო დეპოზიტს, რომელიც გაანგარიშდება სებ-ის მიერ გამოცემული რეგულაციების შესაბამისად და რომელთა გამოტანაც აკრძალულია. სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში არ მოიაზრება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი მისი გამოტანის შეუძლებლობის გამო.

(ზ) მომხმარებლებზე გაცემული სესხები

„მომხმარებლებზე გაცემული სესხები“-ს მუხლი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ სასესხო ფინანსურ აქტივებს. ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, და შემდგომ მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(თ) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ სასესხო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს (იხ. შენიშვნა 3(ე)(i)); რომლებიც თავდაპირველად ფასდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ი) დასაკუთრებული ქონება

დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც „ჯგუფმა“ დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების დასაფარად. ეს აქტივები შექმნილია თავდაპირველად აისახება შესაბამისი სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები, სხვა ფინანსურ აქტივებში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგები. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და „ჯგუფის“ გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

(კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განვლილი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ გავლენა არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, შესაბამის შემთხვევაში, ვალდებულების დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

(ლ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ხარჯის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შექმნაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(მ) ფინანსური გარანტიები და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

ფინანსური გარანტიები წარმოადგენენ კონტრაქტებს, რომლის მიხედვითაც „ჯგუფს“ მოეთხოვება გადახდების განხორციელება, რათა მხარეს აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც განიცადა მესამე პირის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო ხასიათის ვალდებულება წარმოადგენს მყარ ვალდებულებას, კრედიტის გაცემის წინასწარ შეთანხმებული წესებით და პირობებით.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი შეფასება ხდება შემდეგნაირად:

- უდიდესით ფასს 9-ით განსაზღვრული ზარალის რეზერვებსა (იხ. შენიშვნა 3(ე)(iv)) და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ფასს 15-ით აღიარებულ კუმულაციურ შემოსავალს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

„ჯგუფს“ არ აქვს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის:

- „ჯგუფი“ აღიარებს ზარალის რეზერვს (იხ. შენიშვნა 3 (ე)(iv));

ფინანსური გარანტიებიდან და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები ანარიცხებში აისახება.

(ნ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებულით. უმნიშვნელო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ღირებულება აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი დეტალების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი დეტალი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანს. მსაგვის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს აღდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლება საპირისპირო ნიშნით, თუ ადგილი აქვს აქტივის გამოყენებით ღირებულებას ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების ცვლილებას.

შემოსულობა და ზარალი გასვლის ოპერაციებიდან, რომლებიც განისაზღვრება მიღებული თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების შედეგად, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიწის ნაკვეთები არ იცვითება. ცვეთა ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულებზე გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იმისათვის, რომ განაწილდეს მათი თვითღირებულება ნარჩენ ღირებულებამდე მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	5-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი, ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	5-10 წელი
აქტივის გამოყენების უფლება	1-10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც „ჯგუფი“ ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

(ო) გუდვილი

გუდვილი არის ნამეტი თანხა შესყიდვის ხარჯსა და შესყიდვის თარიღისთვის შესყიდული შვილობილი ან მეკავშირე საწარმოს იდენტიფიცირებად აქტივებში, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებში შემსყიდველი საწარმოს წილის სამართლიან ღირებულებას შორის. შვილობილი კომპანიების შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ცალკე. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

„ჯგუფი“ გუდვილს გაუფასურებაზე ამოწმებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გუდვილის გაუფასურების ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ამგვარი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ სარგებელს მიიღებენ ბიზნეს კომბინაციების სინერგიიდან. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ბანკი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი არ უნდა აღემატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შიგნით ისეთი ოპერაციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს გაყიდულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას და ფასდება გაყიდული ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილების საფუძველზე.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც გუდვილი უკავშირდება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, აღიარდება გაუფასურების ზარალი. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

(პ) არამატერიალური აქტივები, გუდვილის გარდა

შეძენილი არამატერიალური აქტივები წარდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის თანხა. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მერყეობს 1-დან 10 წლამდე.

(ჟ) სააქციო კაპიტალი*სააქციო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და აქციების ოფციონებთან, აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

დივიდენდები

„ჯგუფის“ მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ აქციებთან მიმართებაში დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში.

(რ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში აღიარებული ერთეულების ან სხვა სრული შემოსავლის კატეგორიას.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2017 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019 ან შემდეგ წლებში.

გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობით. გადავადებული გადასახადი არ აღიარდება შემდეგ დროებითი სხვაობებზე:

- აქტივების ან ვალდებულებების საწყისი აღიარება ისეთ გარიგებაში რომელიც არ არის დაკავშირებული ბიზნეს კომბინაციებთან და რომლებიც არ მოქმედებენ არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებას ან ზარალზე.
- დროებით სხვაობებს, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებსა და ასოცირებულ საწარმოებში, სადაც მშობელ კომპანიას შესწევს უნარი გააკონტროლოს დროებითი სხვაობების აღდგენის ვადები და როდესაც სავარაუდოა, რომ დროებითი სხვაობა არ იქნება აღდგენილი უახლოეს მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალებისთვის, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და დაქვითვად დროებით სხვაობებთან მიმართებაში იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება. მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება შესაბამისი დასაბეგრი დროებითი სხვაობების აღდგენის საფუძველზე. თუ დასაბეგრი დროებითი სხვაობების თანხა ეწინააღმდეგება გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად აღიარებას, არსებული დროებითი სხვაობების აღდგენაზე მორგებული მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება ჯგუფში ინდივიდუალური შვილობილი კომპანიების ბიზნეს გეგმების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო თარიღში და მცირდება იმის გათვალისწინებით, რომ აღარ იქნება შესაძლებელი შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია; ამგვარი შემცირებები აღდგება მომავალი საგადასახადო მოგების შესაძლებლობის გაუმჯობესების შემთხვევაში.

გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ან დაფარვის მოსალოდნელ ფორმას 2023 წლის 1 იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის 1 იანვრამდე, რომელთან მიმართებაშიც გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალები და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აღარაა მოსალოდნელი დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია.

არაღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები განმეორებით ფასდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში და აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების თანხის განსაზღვრისას, „ჯგუფი“ ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და იმას, არის თუ არა გადასახდელი დამატებით გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი დაგვიანებულ გადახდებზე. „ჯგუფს“ სჯერა, რომ მისი დარიცხვები საგადასახადო ვალდებულებებზე ადეკვატურია ყველა ღია საგადასახადო წლისთვის, მის მიერ რამდენიმე ფაქტორის შეფასების, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირების და განვლილი გამოცდილების საფუძველზე. ეს შეფასება ეყრდნობა დაშვებასა და ვარაუდებს და მან შეიძლება მოიცვას მომავალი მოვლენების შესახებ მსჯელობების მთელი სპექტრი. შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც „ჯგუფს“ აიძულებს შეცვალოს მისი მსჯელობა არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით; საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ამგვარი ცვლილებები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე ამგვარი განსაზღვრების გაკეთების პერიოდში.

ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ აღარ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის და, შესაბამისად, არ წარმოემგებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

(ს) იჯარები

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

საოპერაციო იჯარები არ ყოფილა აღიარებული ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარების ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

ჯგუფს არ ჰქონია არანაირი ფინანსური იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში.

2019 წლის 1 იანვრის შემდეგ გამოყენებული პოლიტიკა

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერ საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. მისი გადაფასება ხდება იმ შემთხვევაში თუ არსებობს ცვლილება სამომავლო იჯარის გადახდებში ან შეფასებაში იმისა გამოიყენებს თუ არა ჯგუფი გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას. შესაბამისი კორექტირება ხორციელდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულებაში, ან ოდენობა აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება ნულამდე არის შემცირებული.

ჯგუფი წარმოადგენს აქტივებს გამოყენების უფლებით ცალკე ერთეულის სახით და საიჯარო ვალდებულებებს „სხვა ვალდებულებების“ სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბანკმა აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის და მოკლევადიანი იჯარებისთვის. ბანკი აღიარებს აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს როგორც ხარჯს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

(ტ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და კორექტირებები სტანდარტებში რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კორექტირებები ფას სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.
- ბიზნესის განმარტება (ფას 3-ის კორექტირებები).
- არსებითის განმარტება (ბას 1-ისა და ბას 8-ის კორექტირებები).
- ფას 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.

4. ფინანსური რისკის მიმოხილვა

ეს შენიშვნა ასახავს ინფორმაციას ბანკის ფინანსურ რისკებზე დაქვემდებარების შესახებ. ბანკის ფინანსური რისკების მართვის სტრატეგიაზე ინფორმაციისთვის, იხ შენიშვნა 23.

საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოშობილი თანხები**გაუფასურების დასადგენად გამოყენებული მონაცემები, ვარაუდები და მეთოდები**

იხ. სააღრიცხვო პოლიტიკა შენიშვნა 3(ე)(iv)-ში.

საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა

იმის განსაზღვრისთვის, მოხდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის (დეფოლტის რისკის) თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვანი ზრდა, ბანკი იყენებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია არაჯეროვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ასეთი მონაცემები მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციასა და ანალიზის, რომელიც ეფუძნება ბანკის ისტორიულ გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

„ჯგუფი“ აღიარებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- დავალიანება ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი დღით კოლექტიურად შეფასებული სესხებისთვის და 15 დღეზე მეტით ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კლიენტებისთვის;
- მისი ფინანსური მაჩვენებელი გაუარესებულია და ფაქტიური დავალიანება რესტრუქტურისებულია;
- არსებობს სხვა სისუსტეები, რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე (მაგ. კლიენტის სამეთვალყურეო კატეგორიაში გადაყვანა).

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლების ვადიანობის განსაზღვრა

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლების ვადიანობის განსაზღვრისთვის გამოიყენება მარკოვის მიგრაციის მატრიცის მოდელი, სადაც მთავარი მონაცემი არის ვადაგადაცილებული დღეების ოდენობა. მიგრაციის მატრიცა გასული 60 თვის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით იგება.

დადგენა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის „ჯგუფი“ აფასებს არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. არსებითის მნიშვნელობა განსხვავებულია სესხების გაცემის სხვადასხვა ტიპებისთვის, კონკრეტულად კი ინდივიდუალურად შეფასებულ და კოლექტიურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებს შორის. ბანკი ფინანსურ აქტივზე ვადაგადაცილების სტატუსს იყენებს „backstop“ ინდიკატორად, ასევე გამოიყენება სხვა ხარისხობრივი ინდიკატორები, რათა შეფასდეს რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი.

დეფოლტის განმარტება

ბანკი სესხს დეფოლტირებულად განიხილავს, ერთ-ერთი შემდეგი ვითარების წარმოშობის შემთხვევაში:

- სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- გაკოტრების პროცედურები და/ან სამართლებრივი პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის ვალდებულებების შესრულების უნარზე;
- მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

დეფოლტის სტატუსი ფასდება რეგულარულად (ყოველთვიურად). სესხს უნარჩუნდება დეფოლტის სტატუსი, თუ არსებობს მანძილზე სულ მცირე ერთხელ მაინც იყო დეფოლტირებული.

„ჯგუფმა“ უნდა აღრიცხოს თუ რა კრიტერიუმის დარღვევის გამო გახდა სესხი დეფოლტირებული.

მომავალი ტენდენციების გათვალისწინება

„ჯგუფი“ ითვალისწინებს მომავალ ტენდენციებს იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

„ჯგუფის“ ექსპერტების მიერ ხდება მომავალი ტენდენციების შეფასება. შეფასება დამოკიდებულია გარე ინფორმაციაზე: ეკონომიკურ მონაცემებზე, ქვეყნის სამთავრობო და საფინანსო ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ პროგნოზებზე, როგორცაა მაგ. საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული პორტფელისთვის „ჯგუფმა“ მოახდინა საკრედიტო რისკის მთავარი ფაქტორის იდენტიფიცირება, ისტორიული მონაცემების და მაკროეკონომიკური მოვლენების საკრედიტო რისკზე გავლენების შეფასების საფუძველზე.

მაკროეკონომიკური პარამეტრების (როგორცაა ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება) შეფასებამ აჩვენა, რომ მხოლოდ მშპ-ს აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა დეფოლტის ალბათობაზე. გასული 3 წლის ისტორიულმა კორელაციამ აჩვენა მნიშვნელოვანი კავშირი მშპ-სა და დეფოლტის ალბათობას შორის. მშპ-ს ზრდის დროს დეფოლტის ალბათობა მცირდებოდა. დეფოლტის ალბათობა კორექტირდება „Vasicek“-ის მოდელის მიხედვით, ისტორიულ კორელაციაზე დაყრდნობით.

„Vasicek“-ის მოდელი იყენებს კორელაციას მაკროეკონომიკურ პარამეტრსა და დეფოლტის ალბათობას შორის, რომელიც რეგრესიულ (უმცირეს კვადრატთა) ანალიზით შეფასდა, შემდეგ ახდენს დეფოლტის ალბათობის კორექტირებას ისტორიული კავშირების გათვალისწინებით, სამომავლო მშპ-ზე დაყრდნობით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზის მიხედვით, 2020 წელს მშპ 4.5%-ით გაიზარდება.

მოდულირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორცაა საბაზრო პირობების ცვლა, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით.

ბანკი ახდენს სესხის პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის, რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზება. „ჯგუფის“ რესტრუქტურისაციის პოლიტიკის მიხედვით, სესხის პირობების ცვლილება ხდება, თუ მსესხებელი დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მონაცემები, რომ მსესხებელმა გააკეთა ყველა გონივრული ქმედება არსებული საკონტრაქტო ვალდებულების მიხედვით ვალის გასტუმრებისთვის და იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას.

შეცვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, საპროცენტო გადახდების განრიგისა და სესხთან დაკავშირებული პირობების ცვლილებას. სესხის პირობების ცვლილება საკრედიტო რისკის ზრდის ხარისხობრივი მახასიათებელია, ისევე როგორც დეფოლტი ან სესხის გაუფასურება. შესაბამისად, ბანკი ასეთ კლიენტს არასტანდარტულად აღიქვამს და მეორე ეტაპზე გადაჰყავს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ცვლადი მონაცემები:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

რისკზე დაქვემდებარების 1-ლი ეტაპის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვეში დეფოლტის ალბათობის დანაკარგებზე დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტს დაქვემდებარებული თანხებზე გადამრავლებით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტს დაქვემდებარებული თანხებზე გადამრავლებით.

„ჯგუფი“ ადგენს დანაკარგებს დეფოლტის შემთხვევაში დეფოლტირებული კლიენტების ისტორიული აღდგენების სტატისტიკაზე დაყრდნობით. „ვინტაჟ“ მეთოდით გამოყვანილია აღდგენილი დეფოლტირებული სესხის არსებობის მანძილზე სასესხო პორტფელის პროცენტულობა. მსგავსი სესხები დაჯგუფებულია დეფოლტის თვეების მიხედვით და გადახდის ოდენობები მიბმულია თითოეულ ჯგუფზე. ახლად დეფოლტირებული სესხებისთვის გამოიყენება სტატისტიკური მონაცემები მომავალი აღდგენების პროგნოზირებისთვის. საბოლოოდ, ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გამოსათვლელად გაყოფილია დეფოლტირებულ პორტფელზე.

დეპოზიტით უზრუნველყოფილი (ფულადი სახსრებით დაფარული) სესხებისთვის დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება თუ ვალუტა 20%-ით გაუფასურდება. ოქროს სალომბარდო სესხებისთვის, დანაკარგები ტოლია დავალიანებასა და ოქროს უზრუნველყოფას შორის სხვაობისა, რომელიც გასული თორმეტი თვის უნციის ფასის მიხედვით იქნა შეფასებული.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD) ასახავს მოსალოდნელ დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები გამოითვლება გრაფიკით გაწერილი სესხებისთვის, ოვერდრაფტისთვის და საკრედიტო ბარათებისთვის ცალ-ცალკე მათი არსებობის ვადის გათვალისწინებით. სესხის გაცემიდან საშუალო დეფოლტის პერიოდის დასათვლელად გამოიყენება ისტორიული მონაცემები. სხვადასხვა წლების მონაცემების შეფასებამ აჩვენა, რომ წელიწადის შუა

პერიოდი არის დეფოლტის მომენტი. შესაბამისად, ეს მომენტი გამოიყენება დეფოლტს დაქვემდებარებული თანხების დასათვლელად გეგმით გათვალისწინებულ ძირითად თანხების გამოკლებით (სავარაუდო ვადაგადაცილების პერიოდამდე) და სამი თვის დარიცხული პროცენტის დამატებით (სავარაუდო ვადაგადაცილების პერიოდიდან სესხის გადაფოლტების პერიოდამდე).

ოვერდრაფტებზე და საკრედიტო ბარათებზე დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები მთლიანად ისტორიული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება, ამ შემთხვევაში გამოითვლება ყველა დეფოლტირებული ოვერდრაფტის და საკრედიტო ბარათის გამოყენების პროცენტულობა - დამტკიცებული ლიმიტიდან ათვისებული თანხები.

ზარალის რეზერვი

შემდეგი ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შეჯერებას საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე ფინანსური ინსტრუმენტების ტიპის მიხედვით.

ლარი'000	2019				2018			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
სესხები მომხმარებლებზე								
ამორტიზირებული								
ღირებულებით								
ნაშთი 1 იანვარს	3,568	3,619	24,129	31,316	4,345	3,081	29,785	37,211
გადასვლა ეტაპი 1-ზე	209	(52)	(157)	-	138	(136)	(2)	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(91)	398	(307)	-	(69)	161	(92)	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(72)	(1,498)	1,570	-	(126)	(678)	804	-
ზარალის რეზერვის წმინდა								
გადაფასება	(2,002)	548	1,159	(295)	(3,092)	350	5,757	3,015
შექმნილი ან შექმნილი								
ახალი ფინანსური								
აქტივები	3,854	-	-	3,854	3,962	-	-	3,962
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(1,359)	1,359	-	-	(841)	841	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(289)	-	289	-	(749)	-	749	-
ჩამოწერა	-	-	(3,767)	(3,767)	-	-	(12,872)	(12,872)
ნაშთი 31 დეკემბერს	3,818	4,374	22,916	31,108	3,568	3,619	24,129	31,316

ლარი'000	2019				2018			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
სესხები მომხმარებლებზე								
ამორტიზირებული								
ღირებულებით - ბიზნეს								
სესხები								
ნაშთი 1 იანვარს	778	1,207	4,313	6,298	1,277	1,215	4,563	7,055
გადასვლა ეტაპი 1-ზე	8	(8)	-	-	15	(15)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(45)	316	(271)	-	(27)	27	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(23)	(758)	781	-	(44)	(315)	359	-
ზარალის რეზერვის წმინდა								
გადაფასება	(412)	824	(286)	126	(979)	143	2,209	1,373
შექმნილი ან შექმნილი								
ახალი ფინანსური								
აქტივები	2,845	-	-	2,845	843	-	-	843
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(1,169)	1,169	-	-	(152)	152	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(101)	-	101	-	(155)	-	155	-
ჩამოწერა	-	-	(825)	(825)	-	-	(2,973)	(2,973)
ნაშთი 31 დეკემბერს	1,881	2,750	3,813	8,444	778	1,207	4,313	6,298

ლარი'000	2019				2018			
ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკის შემამსუბუქებელი ზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე, ასევე იმის უზრუნველყოფაზე, რომ „ჯგუფი“ ფუნქციონირებდეს დადგენილი რისკის პარამეტრებში. რისკების დეპარტამენტის უფროსი პასუხისმგებელია მთლიანი რისკის მართვასა და შესაბამისობის ფუნქციაზე, პრინციპებისა და მეთოდების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური და არაფინანსური რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვასა და ანგარიშგებას. იგი პირდაპირ ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი დირექტორის წინაშე.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია აკონტროლოს „ჯგუფის“ შესაბამისობა რისკის ლიმიტსა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან, რაც დადგენილია „ჯგუფის“ შიდა დოკუმენტაციით. „ჯგუფის“ რისკების მართვის პროცედურების ეფექტურობის კონტროლის და მათი თანმიმდევრული გამოყენების თვალსაზრისით, სამეთვალყურეო საბჭო და მართვის ორგანოები პერიოდულად იღებენ შიდა აუდიტის და რისკების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს, განიხილვენ ანგარიშების შინაარსს და შემოთავაზებულ მაკორექტირებელ ქმედებებს.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) მართავს და აკონტროლებს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებს, როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციის დონეზე. იმისათვის, რომ მიიღონ ეფექტური და ეფექტიანი გადაწყვეტილებები, „ჯგუფმა“ შეიმუშავა საკრედიტო კომიტეტის იერარქია, რომელიც დამოკიდებულია რისკის სახეობასა და ოდენობაზე.

გარე და შიდა რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება და მართვა ხორციელდება ორგანიზაციის მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკ ფაქტორების სრული სპექტრის იდენტიფიცირებას და მიმდინარე რისკების შემამსუბუქებელ პროცედურებზე რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისგან დამოუკიდებლად, რისკების დეპარტამენტი მონიტორინგს უწევს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს საოპერაციო ერთეულებთან რეგულარული შეხვედრებით, იმისთვის რომ მოისმინოს ექსპერტთა მოსაზრებები მათი საქმიანობის სფეროებთან დაკავშირებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს მიაყენებს ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ბანკის მიერ კონტრაქტებთან საკრედიტო და სხვა ტრანზაქციების განხორციელებით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივი.

ჯგუფი ახარისხებს მის მიერ ნაკისრ საკრედიტო რისკებს ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფთან დაკავშირებული დასაშვები რისკის დონის დადგენით. ბანკმა შემდგომში დააფუძნა საკრედიტო

კომიტეტის 3 დონე, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მსესხებლებისთვის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცებაზე. თითოეული საკრედიტო კომიტეტის განხილვისა და დამტკიცების ზღვარი განსხვავდება სესხის ტიპის მიხედვით. მხოლოდ საცალო სესხები მაქსიმალური ოდენობით 10 ათასი ლარი და სანქცირებული საცალო სესხები (ხელფასი/საკრედიტო ბარათი/ოვერდრაფტი) მაქსიმალური ოდენობით 20 ათასი ლარი გაიცემა ფილიალის დონეზე. კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერები ავსებენ საკრედიტო განაცხადის ფორმებს, რომელსაც გადასცემენ შესაბამის საკრედიტო კომიტეტს საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებების მონიტორინგის განსახორციელებლად პორტფელის ანალიზის მენეჯერის მიერ იწერება და საკრედიტო რისკების დეპარტამენტის მიერ მიმოიხილება რეგულარული ანგარიშები. მონიტორინგი მოიცავს კლიენტის საქმიანობის ფინანსური შედეგების მიმოხილვას.

ბანკის ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის მიმართ მგრძობელობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი '000	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული					
	მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტის ქვემოთ შეფასება	ვადაგადაცილებული ეტაპი 1 და ეტაპი 2	გაუფასურებული სესხები/ეტაპი 3	სულ
31 დეკემბერი 2019						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56,988	-	-	-	-	56,988
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	115,597	-	-	-	-	115,597
კლიენტებზე გაცემული სესხები (ბრუტო)						
სამომხმარებლო სესხები	8,118	134,725	41,447	5,800	6,219	196,309
ბიზნეს სესხები	8,778	333,542	48,340	8,726	10,893	410,279
იპოთეკური სესხები	732	94,868	28	2,586	1,725	99,939
ოქროს სალომბარდო სესხები	30,966	-	-	-	6,226	37,192
	48,594	563,135	89,815	17,112	25,063	743,719
გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებები	7,927	10,443	6,261	-	-	24,631
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	59,009	-	-	-	-	59,009
სხვა ფინანსური აქტივები	4,635	-	-	-	-	4,635
სულ	292,750	573,578	96,076	17,112	25,063	1,004,579

ლარი '000	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული					
	მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტის ქვემოთ შეფასება	ვადაგადაცილებული ეტაპი 1 და ეტაპი 2	გაუფასურებული სესხები/ეტაპი 3	სულ
31 დეკემბერი 2018						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	36,837	-	-	-	-	36,837
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	114,432	-	-	-	-	114,432
კლიენტებზე გაცემული სესხები (ბრუტო)						
სამომხმარებლო სესხები	2,867	190,986	43,338	5,552	5,827	248,570
ბიზნეს სესხები	20,819	216,778	30,069	10,309	5,371	283,346
იპოთეკური სესხები	1,715	85,432	417	835	981	89,380
ოქროს სალომბარდო სესხები	35,313	916	-	96	9,709	46,034
	60,714	494,112	73,824	16,792	21,888	667,330
გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებები	48	8,050	6,832	-	-	14,930
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	56,810	-	-	-	-	56,810
სხვა ფინანსური აქტივები	2,733	-	-	296	-	3,029
სულ	271,574	502,162	80,656	17,088	21,888	893,368

ქვემოთ მოცემულია ვადაგადაცილებული სესხების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების უმრავლესობა არ ითვლება გაუფასურებულად მათი მაღალი ხარისხისა და საკმარისი უზრუნველყოფის გამო.

„ჯგუფის“ ‘არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივები’ შემდეგი სახით კლასიფიცირდება:

- მაღალი შეფასება: არავადაგადაცილებული ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია ანაბრით ან ძვირფასი ლითონებით. „ჯგუფი“ სებ-ში სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქებსა და ობლიგაციებს და სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატებს მიაკუთვნებს მაღალი შეფასების ფინანსურ აქტივებს.
- სტანდარტული შეფასება: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი არავადაგადაცილებული ფინანსური აქტივი.
- სტანდარტის ქვემოთ შეფასება: არავადაგადაცილებული ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია სხვა ტიპის აქტივით ან არ არის სრულად უზრუნველყოფილი.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

'000 ლარი	30 დღეზე ნაკლები	31-დან 60 დღემდე	61-დან 90 დღემდე	90 დღეზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2019 წელი					
კლიენტებზე გაცემული სესხები					
სამომხმარებლო სესხები	4,404	974	422	-	5,800
ბიზნეს სესხები	6,980	853	893	-	8,726
იპოთეკური სესხები	2,374	58	154	-	2,586
სულ	13,758	1,885	1,469	-	17,112

'000 ლარი	30 დღეზე ნაკლები	31-დან 60 დღემდე	61-დან 90 დღემდე	90 დღეზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2018 წელი					
კლიენტებზე გაცემული სესხები					
სამომხმარებლო სესხები	4,788	466	296	-	5,550
ბიზნეს სესხები	5,527	4,783	-	-	10,310
იპოთეკური სესხები	663	122	50	-	835
ოქროს სალომბარდო სესხები	97	-	-	-	97
სულ	11,075	5,371	346	-	16,792

„ჯგუფი“ ასევე ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოიქმნება გარანტიებისა და აკრედიტივებისაგან. საკრედიტო რისკი გარე-საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იმავე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტების და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

ბანკის ფინანსური აქტივების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

'000 ლარი	2019				2018			
	საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ქვეყნები		საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ქვეყნები	
			სულ	სულ			სულ	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22,319	1,023	933	24,275	18,402	17,690	745	36,837
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	115,597	-	-	115,597	114,432	-	-	114,432
კლიენტებზე გაცემული სესხები	742,201	896	622	743,719	651,691	6,498	9,141	667,330
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	59,009	-	-	59,009	56,810	-	-	56,810
სხვა ფინანსური აქტივები	4,635	-	-	4,635	3,029	-	-	3,029
	943,761	1,919	1,555	947,235	844,364	24,188	9,886	878,438

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის დადგომის შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური დაწესებულებების მართვისთვის.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად, „ჯგუფი“ ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. მმართველობითი საბჭო აწესებს ლიმიტს დასაფარი თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაბრებიდან თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორისი და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელიც უნდა ეყოს თანხაზე მოთხოვნას როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ ვითარებაში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულებების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

ბანკის ლიკვიდურობის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან ბანკის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- მაღალი ლიკვიდურობისა და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

ბანკის სახაზინო ფუნქციები მოიცავს შემდეგ პასუხისმგებლობებს:

- სებ-ის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდურობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში;

- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ძირითადი ვალუტების (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ლიკვიდურობის დონის, ნაღდი ფულის პოზიციის შესახებ;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველკვირეული ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ ძირითად ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
- ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის არსებობა.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობას უწევს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სებ-ს მიერ. სებ-ის მოთხოვნით, მინიმალური საშუალო თვიური ლიკვიდურობის კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 30%-ისა. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახაზინო განყოფილების მიერ ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის ჯეროვნად მართვა. რისკების მართვის განყოფილებას ევალება ამ საქმიანობათა გაკონტროლება. ლიკვიდურობის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (ALCO).

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით

ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება მიღებულ იქნა დაუყოვნებლივ. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად საჭიროებს უფრო მეტ დროს, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში:

ლარი'000	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	22,715	31,428	68,330	11,581	134,054
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	445,132	187,280	89,355	1,114	722,881
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,108	-	-	-	6,108
სუბორდინირებული სესხები	512	3,831	54,907	7,395	66,645
წარმოებული ფინანსური ვალდებულება					
- შემოსვლა	47,413	-	-	-	47,413
- გასვლა	(47,102)	-	-	-	(47,102)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	474,156	222,539	212,592	20,090	929,377

ლარი'000	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	24,487	21,171	36,978	-	82,636
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	458,819	153,894	82,546	2,651	697,910
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,693	-	-	-	11,693
სუბორდინირებული სესხები	432	3,318	14,026	40,517	58,293
წარმოებული ფინანსური ვალდებულება					
- შემოსვლა	42,123	-	-	-	42,123
- გასვლა	(40,951)	-	-	-	(40,951)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	494,259	178,383	133,550	43,168	849,360

„ჯგუფი“ განიხილავს მისი ფინანსური გარანტიების და გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებების მაქსიმალურ ლიკვიდურობის რისკს 3 თვეზე ნაკლები ვადით, რადგან ეს არის ყველაზე ადრეული პერიოდი, როდესაც შესაძლებელი გახდება გარანტიის გამოთხოვნა ან სესხის გაცემის ვალდებულების გამოყენება. თუმცა, განვლილი გამოცდილების საფუძველზე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ „ჯგუფის“ ლიკვიდურობის რისკი დამოკიდებულია მის ფინანსურ ვალდებულებებისა და გაუთვალისწინებელი ვითარებების სახელშეკრულებო ვადებზე:

ლარი '000	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2019 წელი	29,478	12,526	20,239	35	62,278
31 დეკემბერი 2018 წელი	19,318	19,348	24,410	65	63,141

„ჯგუფს“ აქვს მოლოდინი, რომ ყველა პირობითი ვალდებულება არ იქნება გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ხასიათდება მერყეობით, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების ცვლილებით. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და ფასებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის ღია პოზიციების გამო, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს, აგრეთვე საბაზრო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობას. საბაზრო რისკების მართვის მიზანია ბაზარზე არსებული რისკის შეფასების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

მის საბაზრო რისკს „ჯგუფი“ მართავს, სებ-ის მიერ დაწესებული, ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებზე არსებული კოეფიციენტების მეშვეობით. ამ ლიმიტების მონიტორინგი წარმოებს ყოველდღიურად და არის მმართველთა საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მერყეობის გამო. „ჯგუფის“ მიერ მიღებული სესხების ნაწილს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს, ხოლო „ჯგუფის“ ანაზრები და სასესხო პორტფელების უმრავლესობა ფიქსირებულ განაკვეთს ატარებენ, სებ-ი იხდის ცვალებად საპროცენტო განაკვეთს „ჯგუფის“ მიერ ეროვნულ ბანკში განთავსებულ ნომინალურ რეზერვებზე. „ჯგუფს“ ასევე აქვს კლიენტებზე გაცემული სესხები, ცვალებად-განაკვეთიანი საპროცენტო შემოსავლით. ეს ფინანსური აქტივები ანეიტრალურად ნასესხებ თანხებზე საპროცენტო განაკვეთის უარყოფითი ცვლილებით გამოწვეულ შესაძლო ზარალის ეფექტს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზისო პუნქტით ცვლილების გავლენა „ჯგუფის“ კაპიტალზე (გადასახადების გამოკლებით):

ლარი '000	2019	2018
ფინანსური აქტივები	392,651	237,935
ფინანსური ვალდებულებები	(73,723)	(36,408)
წმინდა საპროცენტო მგრძობელობის პოზიცია	318,928	201,527
საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზისო პუნქტით მატება	2,711	1,713
საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზისო პუნქტით კლება	(2,711)	(1,713)

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი პროცენტის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები წარმოდგენენ ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის მომენტამდე უკუგების მიახლოებულ შეფასებას.

	2019			2018		
	საშუალო ეფექტური			საშუალო ეფექტური		
	საპროცენტო განაკვეთი, %			საპროცენტო განაკვეთი, %		
	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა
პროცენტის მატარებელი აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	1	-	7	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	14	9	6	15	10	7
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	-	-	8	-	-
პროცენტის მატარებელი ვალდებულებები						
ანაზრები ბანკებში	-	-	1	-	-	-
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	12	6	3	10	7	-
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	8	3	1	6	2	1
სუბორდინირებული სესხები	-	6	6	-	6	-

სავალუტო რისკი

„ჯგუფს“ გააჩნია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები. სავალუტო რისკი არის რისკი, ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო.

ცხრილში ნაჩვენებია უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლარი '000	აშშ			სხვა	
	ლარი	დოლარი	ევრო	ვალუტები	სულ
31 დეკემბერი 2019					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16,456	5,886	1,381	552	24,275
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	-	90,688	24,909	-	115,597
კლიენტებზე გაცემული სესხები	272,194	316,591	154,934	-	743,719
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	59,009	-	-	-	59,009
სხვა ფინანსური აქტივები	368	835	3,089	343	4,635
სულ აქტივები	348,027	414,000	184,313	895	947,235
ვალდებულებები					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ნაშთები ბანკებისგან	35,145	26,648	56,361	-	118,154
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	232,258	375,968	93,654	1,268	703,148
სუბორდინირებული სესხები	-	51,381	1,605	-	52,986
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,143	1,688	246	31	6,108
სულ ვალდებულებები	271,546	455,685	151,866	1,299	880,396
წმინდა საბალანსო პოზიცია	76,481	(41,685)	32,447	(404)	66,839
წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა	10,723	25,968	(36,691)	-	-
წმინდა პოზიცია	87,204	(15,717)	(4,244)	(404)	66,839

'000 ლარი	აშშ		სხვა		სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	ვალუტა	
31 დეკემბერი 2018 წელი					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,158	21,590	399	690	36,837
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	-	89,784	24,648	-	114,432
კლიენტებზე გაცემული სესხები	255,606	344,254	67,470	-	667,330
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	56,810	-	-	-	56,810
სხვა ფინანსური აქტივები	755	601	1,669	4	3,029
სულ აქტივები	327,329	456,229	94,186	694	878,438
ვალდებულებები					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	54,391	17,618	21	-	72,030
კლიენტებისგან	220,934	362,744	98,350	1,238	683,266
სუბორდინირებული სესხები	-	46,115	-	-	46,115
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,560	5,370	750	13	11,693
სულ ვალდებულებები	280,885	431,847	99,121	1,251	813,104
წმინდა საბალანსო პოზიცია	46,444	24,382	(4,935)	(557)	65,334
წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა	42,123	(42,123)	-	-	-
წმინდა პოზიცია	88,567	(17,741)	(4,935)	(557)	65,334

ლარის (შესუსტება)/გამყარება (როგორც ქვემოთაა აღწერილი) დოლარის მიმართ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალსა და მოგებას ან ზარალზე იქონიებდა გავლენას ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ეს ანალიზი არის განხორციელებული „გადასახადების გარეშე“ საფუძველზე და დაფუძნებულია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებაზე, რასაც „ჯგუფი“ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიიჩნევს მიზანშეწონილად. ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, განსაკუთრებით, საპროცენტო განაკვეთი, დარჩება უცვლელი.

ლარი '000	2019	2018
აშშ დოლარის 10%-იანი შესუსტება ლართან მიმართებაში	1,336	1,508
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	(1,336)	(1,508)

წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო კურსი:

ლარი	საშუალო განაკვეთი 2019	საშუალო განაკვეთი 2018	გაცვლითი კურსი	გაცვლითი კურსი
			საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31 დეკემბერი 2018	საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი	2.8192	2.5345	2.8677	2.6766
1 ევრო	3.1553	2.9913	3.2095	3.0701

ფასთან დაკავშირებული სხვა რისკი

ფასთან დაკავშირებული სხვა რისკი არის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილების გამო (გარდა საპროცენტო განაკვეთის ან სავალუტო რისკებისა), თუკი ეს ცვლილებები გამოწვეულია ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი გამოშვებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით, ან სხვა ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე არსებულ ყველა მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტზე. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ფასთან დაკავშირებულ სხვა რისკზე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა მონიტორინგის სისტემა და პოტენციურ რისკებზე რეაგირება, შესაძლებელია იყოს რისკების მართვის ეფექტური ინსტრუმენტი. კონტროლის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, წვდომის, უფლებამოსილების მინიჭებასა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

24. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეებად სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: აქტივების ან ვალდებულებების ფასის პირდაპირი ან ირიბი მახასიათებლები (მაგ. ფასი ან ფასისგან მიღებული მონაცემები) რომლებიც არ განეკუთვნება პირველ დონეს.
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნებიან დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებად, სამართლიანი ღირებულების შეფასება მთლიანობაში კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, როგორც ყველაზე დაბალი დონის მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახლოს არის მათ საბალანსო ღირებულებებთან.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს აქტივის გაყიდვის ფასს ან ვალდებულების გადაცემის ფასს მხარეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე შეფასების თარიღისთვის. თუმცა, გაურკვევლობის და შეფასების სუბიექტურობის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივის დაუყოვნებლივი გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

25. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმის მიხედვით, თუ როდის უნდა მოხდეს ხელშეკრულების მიხედვით მათი ამოღება ან დაფარვა.

ლარი '000	2019			2018		
	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56,988	-	56,988	68,917	-	68,917
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სეზ-ში	115,597	-	115,597	114,432	-	114,432
კლიენტებზე გაცემული სესხები	177,912	565,807	743,719	196,841	470,489	667,330
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	37,582	21,427	59,009	23,256	33,554	56,810
სხვა ფინანსური აქტივები	4,320	315	4,635	2,809	220	3,029
სულ	392,399	587,549	979,948	406,255	504,263	910,518
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ნაშთები ბანკებისგან	46,279	71,875	118,154	42,421	29,609	72,030
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	605,823	97,325	703,148	609,920	73,346	683,266
სუბორდინირებული სესხები	1,511	51,475	52,986	1,415	44,700	46,115
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,108	-	6,108	11,693	-	11,693
სულ	659,721	220,675	880,396	665,449	147,655	813,104
წმინდა დამოკიდებულება	(267,322)	366,874	99,552	(259,194)	356,608	97,414

„ჯგუფის“ მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან შეადგენდა 703,148 ათასი ლარი (2018 წელს: 683,266 ათასი ლარი). „ჯგუფი“ ყოველთვიურად ატარებს კლიენტების მიმდინარე ანგარიშების ნაწილის სტაბილურობის ანალიზს წინა ორი წლის პერიოდისთვის. გასული 24 თვის განმავლობაში ყოველი თვის ბოლოს მიმდინარე ანგარიშების ნაშთები არ ყოფილა 531,446 ათას ლარზე ნაკლები (2018 წელს: 391,844 ათასი ლარი). მთლიანი მიმდინარე ანგარიშების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც, როგორც წესი, გრძელვადიანია. შესაბამისად, ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის დასადგენად გონივრულია ამ თანხების ასახვა ერთ წელზე მეტი ვადით.

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

(ა) მაკონტროლებელი ურთიერთობები

„ჯგუფს“ არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ან საბოლოო ან პირდაპირი მშობელი კომპანია. „ჯგუფის“ აქციონერთა სტრუქტურა მოცემულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ განმარტებით შენიშვნაში.

(ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლებზე გაწეული ხარჯებიდან წამყვანი ხელმძღვანელობის მთლიანი ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

'000 ლარი	2019	2018
ხელფასები და სხვა სარგებელი	3,146	2,454

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფმა“ გასცა 60 ათასი ლარის (2018 წელს: 72 ათასი ლარი) ოდენობის სესხები წამყვან ხელმძღვანელობაზე. სესხები ძირითადად გრძელვადიანია და ატარებენ საშუალო საპროცენტო განაკვეთს 16%-ის ოდენობით. 2019 წელს წამყვან ხელმძღვანელობაზე გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 8,5 ათას ლარს (2018 წელს: 7 ათასი ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წამყვან ხელმძღვანელობას განთავსებული ჰქონდა 2,050 ათასი ლარის ღირებულების ანგარიშები ბანკში (2018 წელს: 742 ათასი ლარი). მათი საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5%-ს და მათი ვადიანობა გრძელდება საანგარიშგებო თარიღიდან 1 წლის მანძილზე. 2019 წლის განმავლობაში წამყვანი ხელმძღვანელობის ვადიან დეპოზიტებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 8,3 ათასი ლარი (2018 წელს: 11 ათასი ლარი).

(გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 2019	დაუფარავი ნაშთი 2019	ოპერაციის ღირებულება 2018	დაუფარავი ნაშთი 2018
სუბორდინირებული სესხი საერთო მფლობელობაში არსებული კომპანიისგან მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზრები საერთო მფლობელობაში არსებული კომპანიისგან	(1,694)	4,856	(6,000)	6,601

სუბორდინირებული სესხის პირობები განხილულია მე-13 შენიშვნაში. 2019 წლის განმავლობაში 1,806 ათასი ლარის (2018 წელს: 1,257 ათასი ლარი) ოდენობით საპროცენტო ხარჯი დაერიცხა დაკავშირებული მხარისგან აღებულ სუბორდინირებულ სესხს. მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზრები ძირითადად არის პროცენტის გარეშე და მოთხოვნამდე. დაკავშირებული მხარეების ვადიანი ანაზრებს დაერიცხა 8,5 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2018 წელს: 7 ათასი ლარი).

27. კაპიტალის ადეკვატურობა

„ბანკი“ ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესისთვის თანდაყოლილი რისკების მართვის მიზნით. „ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობა სხვადასხვა საზომებით მოწმდება, მათ შორის სეზ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით, რისი საშუალებითაც ის ზედამხედველობას უწევს ბანკებს.

„ბანკის“ კაპიტალის მართვის მთავარი მიზნებია (i) იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაცია აკმაყოფილებს გარე მხარის, სეზ-ის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით, (ii) იმის უზრუნველყოფა, რომ „ბანკს“ შეუძლია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა, რისი მონიტორინგიც ყოველთვიურად ხორციელდება და რომლებიც შესაბამისი გათვლების საშუალებით შემდგომში განიხილება და ეგზავნება სეზ-ს.

„ბანკი“ მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, „ბანკმა“ შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდის მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გამოუშვას კაპიტალის ფასიანი ქაღალდები. „ბანკის“ მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა გასული წლის შემდეგ.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკი“ აკმაყოფილებს კაპიტალთან დაკავშირებით ყველა გარედან დაკისრებულ მოთხოვნას.

სეზ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*

სეზ-ის კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციების მიხედვით (ბრძანება N100/04) 2017 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის მოთხოვნის მინიმალური კოეფიციენტი იქნა გადახედილი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო კაპიტალის პირველადი კაპიტალი (CET

1), პირველადი კაპიტალი (Tier 1) და სულ კაპიტალის კოეფიციენტები განსაზღვრულია შემდეგი ოდენობებით: 4.50%, 6.00% და 8.00%, შესაბამისად. კაპიტალის შენარჩუნების და ციკლის საწინააღმდეგო ბუფერები განსაზღვრულია 2.50% და 0%, შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს უნდა შეენარჩუნებინა ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა „GRAPE“ ბუფერი, ჯამში სულ 6.74% (2018: 6.95%). ყველა დანარჩენი პილარ 2-ს ბუფერები უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული 0%-ზე (2018: ნული). ყველა ბაზელ 3-ს მოთხოვნების შესაბამისად „ჯგუფს“ უნდა შეენარჩუნებინა მინიმალური სარეზერვო კაპიტალის კოეფიციენტი, საერთო კაპიტალის პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 9.26%, 11.52% და 17.24%, შესაბამისად (2018: 9.14%, 11.37% და 17.45%, შესაბამისად). „ჯგუფი“ იყო შესაბამისობაში მოცემულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გამოთვლა სებ-ის სააღრიცხვო კანონების და ბაზელ 3-ს მითითებების ჩარჩოს მიხედვით 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

'000 ლარი	2019	2018
ძირითადი კაპიტალი*	116,132	104,602
დამატებითი კაპიტალი*	56,857	51,811
სულ საზედამხედველო კაპიტალი*	172,989	156,413
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*	898,693	872,383
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	17.24%	17.45%
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	19.25%	17.93%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	11.52%	11.37%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	12.92%	11.99%

*მოცემული ოდენობები არ არის აუდიტირებული

28. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „ჯგუფის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ვალდებულების მაქსიმალური რაოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი სამართლებრივი ქმედებების ან საჩივრების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია, რაც ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების გაკეთების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს დამრღვევს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფის“ ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

29. საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები

შემდგომი მოვლენები – COVID-19-ის აფეთქება

(i). ზოგადი მიმოხილვა

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში ოფიციალურად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში საქმიანობებზე გარკვეული შეზღუდვები დააწესა. სხვადასხვა დროს დაწესებული შეზღუდვები მოიცავს ტრანსსასაზღვრო მოგზაურობის აკრძალვას, ქვეყნის შიგნით ყველა მოგზაურობის შეზღუდვას კონკრეტული საათების განმავლობაში, ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვას, ყველა კომერციული საქმიანობის შეჩერებას, გარდა შემთხვევებისა, როდესაც შეიძლება საქმიანობა განხორციელდეს დისტანციურად, სახლიდან, აგრეთვე კონკრეტული ბიზნეს საქმიანობები (სასურსათო მაღაზიები, ავთიაქები, კომერციული ბანკები, ბენზინგასამართი სადგურები, ფოსტა და ა.შ.). საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება ბანკის არცერთ საოპერაციო საქმიანობაზე. ბანკი აგრძელებს მუშაობას ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შესაბამისად და მისი თანამშრომლები, შესაძლებლობის ფარგლებში, დისტანციურ რეჟიმში (სახლიდან) მუშაობენ.

საქართველოს მთავრობამ 22 მაისს, 2020 წლის მოხსნა საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ შეზღუდვები უმეტესწილად მათ შორის მუნიციპალური ტრანსპორტით მოძრაობაზე დარჩა ძალაში. საქართველოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები რათა შეემსუბუქებინა შეზღუდვები და ნება დართო ზოგ ბიზნესებს, რომ განეახლებნათ ოპერაციები იმის გათვასიწინებით რომ ყველა ეპიდემიოლოგიური მოთხოვნა იქნებოდა შესრულებული.

(ii). ცვლილებები მარეგულირებელ მოთხოვნებში

არსებული კრიზისის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა („სებ“) მიიღო ზომები გლობალური COVID-19-ის პანდემიის მიერ საქართველოში შექმნილი უარყოფითი ფინანსური და ეკონომიკური დაბრკოლებების შესამსუბუქებლად. სებ-ის შემდეგ ნაბიჯებს შეიძლება პოტენციური გავლენა ჰქონდეთ ბანკის ოპერაციებზე:

- უცხოური გაცვლითი კურსის უცვარი ზრდის სტაბილიზაციისთვის (ლარი/აშშ დოლარი კურსის პიკური მაჩვენებელი 3.4842 დაფიქსირდა 2020 წლის 27 მარტს), მარტის განმავლობაში სებ-მა ადგილობრივ ბაზარზე გაყიდა 100 მილიონი აშშ დოლარი;
- სებ-მა კოორდინაცია გაუწია საქართველოს ბანკების ინიციატივას, რომ კომერციული ბანკების საცალო და მცირე ბიზნეს მსესხებლებს, ქვეყნის ფარგლებში, მიეცეთ სამთვანი ნებაყოფლობითი საშეღავათო პერიოდი. საოჯახო ფულადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ოდნავ გაძლიერებული დეპოზიტების გატანების პარალელურად, წინამდებარე ინიციატივამ მეტად დაამძიმა ლარის ლიკვიდურობა ფინანსურ სექტორში. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, სებ-მა კომერციულ ბანკებზე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე სავალუტო სვოპების შეთავაზება დაიწყო, 200 მილიონ აშშ დოლარამდე თითოეული სექტორისთვის;
- სებ-მა შეარბილა მარეგულირებელი მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის, კონკრეტული კაპიტალის ადეკვატურობის და ლიკვიდურობის კოეფიციენტების მოთხოვნების შერბილების ჩათვლით. აღნიშნული უფლებას მისცემს ბანკებს გამოიყენონ არსებული ბუფერები კლიენტების მხარდასაჭერად მიმდინარე ფინანსურად სტრესულ გარემოებებში, რათა შეძლონ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის გაგრძელება, შესაძლებლობის ფარგლებში. ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტის (LCR) მოთხოვნები (ადგილობრივი და უცხოური ვალუტისთვის, ისევე როგორც ჯამური მოთხოვნა) შესაძლოა იყოს გადახედილი და შემცირებული, აუცილებლობის შემთხვევაში;
- სებ-მა, შესაძლო საკრედიტო ზარალებისთვის დააწესა ზოგადი დებულებები თითოეული ბანკისთვის ინდივიდუალურად;
- სებ-ი არ დააკისრებს ფულად სანქციებს ეკონომიკური ნორმატივების და გარე ფაქტორებით განპირობებული ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში (ანუ რეზერვები, გაცვლითი კურსის ცვლილება).

(iii). COVID 19-ის გავლენა ბანკზე

ბანკმა მხედველობაში მიიღო მორატორიუმის ეფექტი, რომელიც შესთავაზა კლიენტებს ძირს და პროცენტის გადახდაზე, ლიკვიდურობის ანალიზის დროს. დამატებით ბანკმა შეცვალა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება განახლებული გარემოს შესაბამისად რის შედეგადაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზარდა.

ხელმძღვანელობამ ასევე ჩაატარა სტრეს ტესტები რამოდენიმე შესაძლო მოვლენების განვითარების ვარიანტისთვის, რათა შეეფასებინა პანდემიის შესაძლო უარყოფითი გავლენა ბანკის ოპერაციებზე და ლიკვიდურობაზე. ბანკმა შეაფასა მისი ლიკვიდურობა და კაპიტალის ადეკვატურობის პოზიცია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღიდან 12-თვიანი პერიოდისთვის. ყველაზე უარესი მოვლენების განვითარების შემთხვევის სტრეს ტესტის დროსაც კი, ბანკი ინარჩუნებს საკმარის ლიკვიდურობას და კაპიტალის ადეკვატურობას, რათა მხარი დაუჭიროს უწყვეტ ოპერაციებს ახლო მომავალში.

ზემოაღნიშნული ზომების და ბანკის მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა ამჟამად საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციასთან ერთად, ხელმძღვანელობა არ მოელის COVID-19-ის აფეთქებიდან დაუყოვნებლივ არსებით უარყოფით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. თუმცა, ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ გახანგრძლივებულ კარანტინის პერიოდებს, მსგავსი ზომების სიმკაცრის ზრდას, ან მსგავსი ზომების შემდგომ უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნებათ უარყოფითი გავლენა ბანკზე საშუალო და გრძელ პერიოდებში. ბანკი ასევე ითვალისწინებს მოვლენების უარყოფითი განვითარების ვარიანტებს და მზად არის შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები. ხელმძღვანელობა აგრძელებს სტრუქტურის მონიტორინგს და მიიღებს ზომებს მსგავსი მოვლენების და გარემოებების (მათი მოხდენისას) შესარბილებლად.